



გალტი & თავარიძე

მედიის მენეჯერები



ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

6 დეკემბერი 2024




ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

სერგი ყურაშვილი

ფინანსური ბაზრების ასოცირებული მკვლევარი | s.kurashvili@gt.ge





ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასი 2021 წლის იანვრიდან
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	240.0	-2.0%	+33.3%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	72.9	-0.3%	-5.3%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	8,891.9	-5.1%	+5.1%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,255.0	-2.3%	-6.0%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,373.8	+1.2%	-0.7%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,643.2	-3.7%	+28.1%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	50.5	+23.1%	+61.7%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	219.0	-8.4%	-16.5%	

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 29 ნოემბრის მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2024 წლის ნოემბერში ნავთობის ფასი თვიურად 0.3%-ით შემცირდა. ოქტომბრის შემდეგ ნავთობის ფასი ვიწრო მონაკვეთში მერყეობს, რაც სხვადასხვა საპირისპირო ფაქტორების მოქმედების შედეგია. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, ჩინური მოთხოვნა, ტრამპის დაპირებები, და OPEC-ის შეხვედრა კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანი თემები იყო ნოემბერში.

ისრაელსა და ჰებზოლას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება შედგა, რამაც ერთ წელზე მეტხნაინი კონფლიქტი შეაჩერა. მიუხედავად რამდენიმე გადაცდომისა, შეთანხმება, როგორც ჩანს, შენარჩუნებულია. ეს მიმდინარე ომში პირველი მნიშვნელოვანი დეესკალაციაა, რაც პოტენციურად შესაძლოა ისრაელსა და ჰამასს შორის ლაზაში ომის დამთავრების წინაპირობა გახდეს. თუმცა, ეს ორი მხარე კვლავ შორსაა კომპრომისებისგან. ჰამასს ლაზას ტერიტორიიდან ისრაელის გასვლა სურს, ისრაელის გაცხადებული მიზანი კი ჰამასის კონტროლის სრულად ანულირებაა.

ჩინეთში სამრეწველო აქტივობა ზედიზედ მეორე თვეა იზრდება, რაც ნავთობის ტრეიდერებისთვის იმედისმომცემია. ნავთობის მსოფლიოში უმსხვილეს იმპორტიორს გლობალური ფასების დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ მდგომარეობის მცირე გაუმჯობესება, ამ ეტაპზე, საკმარისი არ არის ფასების განგრძობითი ზრდისთვის. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბაზარზე 2025 წლის განმავლობაში ზედმეტი მიწოდება მოსალოდნელი ტრამპისა და OPEC-ის დამსახურებით. აშშ-ს მომავალი პრეზიდენტი ადგილობრივი წარმოების ზრდას აანონსებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მწარმოებლებისთვის მომგებიანი არ იქნება.


დამატებით, მომავალ წელს OPEC+-ის წევრები საკუთარი წარმოების ზრდას გეგმავენ. ჭკუფი თავდაპირველად ამ პროცესის დაწყებას იანვარში აპირებდა, თუმცა დეკემბრის შეხვედრაზე გეგმის 3 თვით 2025 წლის აპრილამდე გადაწევა გადაწყვიტეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება ფასს გარკვეულ საყრდენს აძლევს, მასზე წნეხი მაინც გრძელდება.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



იმპორტის მოცულობა წლიურად 12.3%-ით გაიზარდა 10 თვ 24-ში და 1,022 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 4.2%-ით არის გაზრდილი.

წყარო: საქსტატი



ენერჯეტიკა


ბუნებრივი აირი

2024 წლის ნოემბერში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 23.1%-ით გაიზარდა. რუსეთ-უკრაინის გაზის ტრანზიტის ხელშეკრულების დასასრული ახლოვდება, ევროპაში კი მოსალოდნელზე ცივი ზამთარი ნაადრევად დაიწყო, რაც საბოლოოდ ფასების მნიშვნელოვან ზრდაში ითარგმნა.

უკრაინის გაზის ტრანზიტის კონტრაქტი მიმდინარე წლის ბოლოს, დეკემბერში იწურება, ახალი შეთანხმება კი ჯერ არ არის მიღწეული. მიუხედავად იმისა, რომ ამ გაზსადენიდან მიღებული აირი ევროპის ჯამური მოხმარების მხოლოდ 5%-ს აკმაყოფილებს, მის გაჩერებას მაინც მნიშვნელოვანი ეფექტი ექნება ფასებზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ მიწოდება მოსალოდნელზე მალე შეწყდება. აშშ-მ გაზპრომბანკს (რომელიც გაზის საფასურის გადახდას უზრუნველყოფს) სანქციები დაადო, რამაც რეალური რისკი გააჩინა, რომ მიწოდება დაგეგმილზე ადრე შეიძლება შეწყდეს. საპასუხოდ, მოსკოვმა გადახდის ზოგიერთი შეზღუდვა მოხსნა - მაგალითად, შემსყიდველებს ახლა შეუძლიათ მესამე მხარე ჩართონ გადახდის პროცესში. მიუხედავად ამისა, კვლავ ბუნდოვანია იქნება თუ არა მილსადენში ბუნებრივი აირი პირველ იანვარს. მედიის მიხედვით, გაზპრომის მომავალი წლის კომერციულ გეგმაში საბაზისო სცენარად განხილულია ისეთი შემთხვევა, როცა უკრაინის გავლით ტრანზიტი საერთოდ არ ხდება.


დამატებით, ევროპაში მოსალოდნელზე მაღალი მოთხოვნაც მოქმედებს ფასებზე. 6 დეკემბრის მდგომარეობით, ევროპის გაზის მარაგები 83.6%-ით არის სავსე და საშუალოზე სწრაფი ტემპით იცლება. გვიან ზამთარში ეს ადვილად შეიძლება კონტინენტის მნიშვნელოვანი პრობლემა გახდეს. HSBC-ის მიხედვით, ევროპა გათბობის სეზონს 42%-ით სავსე მარაგებით დაასრულებს, როცა გასულ წელს ეს მაჩვენებელი 59% იყო. მცირე მარაგები ზაფხულის მოთხოვნაზე იქონიებს გავლენას, როცა ქვეყნები გაზსაცავების შევსებას იწყებენ და მომდევნო ზამთრისთვის ემზადებიან.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მგტ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 18.9%-ით შემცირდა 10თვ24-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 5.4%-ით შემცირდა წ/წ.

წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო


2024 წლის ნოემბერში ოქროს ფასი თვეურად 3.7%-ით შემცირდა. ძვირფასი მეთალი თვის განმავლობაში მერყეობით ხასიათდებოდა, რაც თავდაპირველად არჩევნებში ტრამპის გამარჯვებით, შემდეგ კი რუსეთ-უკრაინის ომის ესკალაციით იყო განპირობებული.

რესპუბლიკელების გამარჯვებამ (ტრამპის გაპრეზიდენტება და კონგრესის კონტროლის მოპოვება) ოქროს განგრძობითი ზრდა ღრობით შეაჩერა. ისტორიულად, არჩევნების შედეგი ბაზარს გარკვეულ რისკს აცლის, რაც ძვირფასი მეთალიდან ინვესტიციების გადინებაში ითარგმნება. დამატებით, ტრამპის დაპირებულ ცვლილებებს შეუძლია აშშ-ში ინფლაცია კვლავ გაზარდოს, რაც ფედერალურ რეზერვს განაკვეთების მაღალ დონეზე შენარჩუნებას აიძულებს. მაღალი განაკვეთები და შესაბამისად სახაზინო ობლიგაციების მაღალშემოსავლიანობა ოქროსათვის უარყოფითი ფაქტორია. მიუხედავად ამისა, აშშ-სა და სხვა ქვეყნებს შორის პოტენციურმა სატარიფო ომმა ძვირფასი მეთალისადმი მოთხოვნა ძლიერი უნდა დატოვოს.

თვის მეორე ნახევარში ბაიდენის ადმინისტრაციამ უკრაინას შორ რადიუსზე მოქმედი ATACMS რაკეტებით რუსეთის სიღრმეში დარტყმების განხორციელების უფლება მისცა, რამაც ომის ახალ ეტაპზე ესკალაცია გამოიწვია. ბევრი ინვესტორისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა ინვესტიციების უსაფრთხო აქტივებში გადასათანად. შედეგად, ოქროს 20 თვის განმავლობაში საუკეთესო კვირა ჰქონდა.


აშშ-ში ტრამპის გამარჯვება ძვირფასი მეთალისათვის მოკლევადიან პერიოდში მეთად პრობლემურია. თუმცა, ფუნდამენტური ფაქტორები (ომები, გეოპოლიტიკური რისკები, ცენტრალური ბანკის შესყიდვები), რომლებმაც ოქროს ფასის რეკორდული და განგრძობითი ზრდა გამოიწვია, კვლავ აქტუალურია. შესაბამისად, წამყვანი საინვესტიციო ბანკები 2025 წელს მეთალისადმი კვლავ დადებითად არიან განწყობილნი.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 2.7%-ით შემცირდა 10 თვ 24-ში, თუმცა ღირებულებაში წლიურად 21.7%-ით გაიზარდა, ფასის ზრდის შედეგად.

წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატის

2024 წლის ნოემბერში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვიურად 2.0%-ით შემცირდა. სასუქების ინდუსტრიაში პრობლემები კვლავ გრძელდება. არასაკმარისი ხელმისაწვდომობის გამო (ფასები 2024 წლის დასაწყისიდან 33.3%-ით არის გაზრდილი) მოთხოვნა კვლავ დაბალი რჩება. დამატებით, მომდევნო თვეებში ფასების ზრდაა მოსალოდნელი ბუნებრივი აირის ფასების ზრდის შედეგად. ბუნებრივი აირი ამონიუმის ნიტრატის წარმოების მთავარი კომპონენტია და თვითღირებულების (COGS) დაახლოებით 45%-ს შეადგენს.

ხორბალი


2024 წლის ნოემბერში ხორბლის ფასები თვიურად 8.4%-ით შემცირდა. ნედლეული, სავარაუდოდ, მიმდინარე წელს ფასების ორნიშნა კლებით დაასრულებს. მიუხედავად ამისა, ტრენდი მალევე შეიძლება შემობრუნდეს, რადგან მომავალი მოსავლიანობის მოლოდინი არც თუ ისე დამაიმედებელია. აშშ-ში გვალვის გამო ზამთრის ხორბლის მოსავლის დაახლ. 50% საფრთხეშია. დამატებით, რუსეთმა კიდევ ერთხელ დააწესა საექსპორტო კვობები ადგილობრივი დაბალი წარმოების გამო. შესაბამისად, მომდევნო თვეებში ხორბლის გლობალური ექსპორტის შენელებაა მოსალოდნელი.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 27.9%-ით შემცირდა 10თვ24-ში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა მხოლოდ 5.8%-ით შემცირდა, ხოლო საექსპორტო ფასი ბევრად მეტი - 23.4%-ით.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 38.4%-ითაა გაზრდილი 10თვ24-ში, ხოლო მოცულობა 56.5%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-11.5% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის ნოემბერში სპილენძის ფასი თვიურად 5.1%-ით შემცირდა. ჩილეში (მსოფლიოს უმსხვილესი მწარმოებელი) სპილენძის მოპოვება ბოლო თვეების განმავლობაში მზარდია და ამ მხრივ ოქტომბრის თვე 2019 წლის შემდეგ საუკეთესო ოქტომბერი აღმოჩნდა. დამატებით, ჩინელმა ტრეიდერებმა აშშ-დან სპილენძის ჯართის იმპორტი შეაჩერეს. ჯართი ადგილობრივად სპილენძის წარმოებაში გამოიყენება, რომელიც შემდეგ კვლავ ექსპორტისთვისაა განკუთვნილი. ვინაიდან ახალი პრეზიდენტის, ტრამპის მხრიდან მაღალი ტარიფების დაწესებაა მოსალოდნელი, ტრეიდერებმა რისკის არიდება გადაწყვიტეს.

ფეროსილიკონი


2024 წლის ოქტომბერში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 1.2%-ით გაიზარდა, ჩინურის კი 2.3%-ით შემცირდა. მთავრობის მიერ გამოცხადებულმა დახმარების პაკეტმა ადგილობრივი მოთხოვნის გამოკეთება ვერ მოახერხა. სანაცვლოდ, მწარმოებლები საექსპორტო ბაზრებზე არიან ორიენტირებული. მათი მიზანი ტრამპის ინაუგურაციამდე და ტარიფების დაწესებამდე რაც შეიძლება მეტი ექსპორტის მოსწრებაა. შესაბამისად, ექსპორტის მსხვილი მოცულობები გლობალურ ფასებზეც უარყოფითად მოქმედებს.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზე დამოკიდებული. 2023 წლის კლების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა დაბალ ნიშნულზეა 10თვ24-ში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნოების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნოების ექსპორტის ღირებულება წლიურად 116.7%-ით, მოცულობა კი 127.6%-ით გაიზარდა 10თვ24-ში და 270k ტონა შეადგინა. მომდევნო თვეებში ექსპორტის შენელებაა მოსალოდნელი.

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომხმარებელია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლოა მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვას.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge